

---

## თავი - 16

---

### მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღების დამატებითი ასპექტები

#### შინაარსი

- ❖ გადაწყვეტილების ანალიზი მოწონება ან უარყოფა;
- ❖ გადაწყვეტილების მიღების სხვა საკითხები;
- ❖ ბიზნესის სეგმენტის შეწყვეტა;
- ❖ დროებითი დახურვა;
- ❖ წარმოებასა თუ შესყიდვაზე გადაწყვეტილების მიღება;
- ❖ წინადაღების შეფასება;
- ❖ გადაწყვეტილებები შემდგომ დამუშავებაზე;
- ❖ არჩევანი შილა მომსახურების განყოფილებებსა და გარე მომსახურებას შორის;

#### 4 . 1 . გადაწყვეტილების ანალიზი მოწონება ან უარყოფა

წინა თავებში ჩვენ გამოვიყვლით დანახარჯთა დინამიკა ბიზნესში გადაწყვეტილების მიღების კუთხით. ახლა კი გავაგრძელებთ ამ მიღვომას და შევისწავლით გადაწყვეტილების მიღების სხვა ასპექტებსაც. ამისათვის გავიხსენოთ ჩვენს მიერ უკვე შესწავლილი ზოგიერთი საკითხი.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს: დანახარჯთა ცვალებადობის, ზღვრული დანახარჯების, აღმოფხვრადი დანახარჯებისა და მზარდი დანახარჯების პრინციპები. ამ პრინციპების ვარიაციებს წარმოადგენს „აღტერნატიულ შესაძლებლობათა დანახარჯები“ და „დაუბრუნებადი დანახარჯები“.

**აღტერნატიულ შესაძლებლობათა დანახარჯი** წარმოადგენს წინასწარ ნავარაუდევ სარგებელს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს გარკვეულ მოქმედებას. თუ B-ს ნაცვლად ავირჩევთ A საქმიანობას (ორივე ერთმანეთს გამორიცხავს), მაშინ B საქმიანობიდან ნავარაუდევი წვლილი წარმოადგენს A საქმიანობის აღტერნატიულ შესაძლებლობათა დანახარჯს.

**დაუბრუნებადი დანახარჯი** ისეთი დანახარჯია, რომელიც წარსულში წარმოიშვა და უკვე აღარ წარმოადგენს „გადაწყვეტილებისას მნიშვნელოვანს“. თუ მასალები უკვე შეძლებია, რომლისთვისაც აღარა გვაქვს აღტერნატიული გამოყენების შანსი საქმიანობის დასაწყებად - მისი გამოყენების დანახარჯი გადაწყვეტილების მიღების დროს, დაუბრუნებადი დანახარჯია.

**აღმოფხვრადი მიერთვნება** ის დანახარჯები, რომლებიც კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში აღარ იარსებება. ჩვეულებრივ, ეს ტერმინი გამოიყენება ფიქსირებულ დანახარჯებთან მიმართებაში. მაგალითად, თუკი ფიქსირებული დანახარჯი დაკავშირებულია რომელიმე ერთი პროდუქტის წარმოებასთან და ამ პროდუქტის წარმოება შეწყდა, მაშინ ფიქსირებული დანახარჯიც აღარ იარსებებს. იგი აღმოიფხვრა ამ გადაწყვეტილების გამო.

**მზარდია დანახარჯი**, რომელიც წარმოიშობა, როგორც რომელიმე კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგი. მაგალითად, თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული წარმოების გაფართოებაზე და საჭირო გახდება დამატებითი მანქანის იჯარით აღება, ეს დანახარჯი წარმოადგენს მზარდ დანახარჯს.

მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევების უმეტესობა მოიცავს მოქმედების ცალკეული კურსის „ზღვრული“ ეფექტის განსაზღვრას. ამგვარი განსაზღვრა მოიცავს „რელევანტური“ და „არარელევანტული“ დანახარჯების გამოთვლას.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბებისას ერთ-ერთი საკითხია დანახარჯების იმგვარად კლასიფიკაცია, რომ ნათლად განისაზღვროს გადაწყვეტილებისადმი რელევანტური დანახარჯები.

შეიძლება არსებოდეს შემთხვევა, სადაც რომელიმე რელევანტური ან არარელევანტური დანახარჯი წარმოადგენს „აღტერნატიულ დანახარჯს“ და არა პირდაპირ ფულად გასავალს. თუკი A მოქმედების არჩევა იწვევს ბიზნესის სხვა სფეროს წვლილის

დაკარგვას, მაშინ ეს დანაკარგი წარმოადგენს A მოქმედების აღტერნატიულ დანახარჯს და აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მოქმედების შეფასებისას.

აღნიშნული საკითხების უფრო კარგად გასააზრებლად განვიხილოთ მაგალითი.

### მაგალითი:

საწარმო „X“ აწარმოებს ობილი თოვლის სხვადასხვა სახეობას. ბიზნესის ძებულებებმა უნდა გადაწყვიტონ პროდუქციის ასორტიმენტს დაუმატონ თუ არა ახალი სახეობის სათამაშო „ზღარბი“. ბაზრის ბოლო გამოკვლევამ, რომელიც 2,000 ლარი დაჭადა, აჩვენა, რომ „ზღარბზე“ მოთხოვნა მხოლოდ ერთი წელი გასტანდა და ამ პერიოდში გაიყიდებოდა ამ სათამაშოს 100,000 ერთეული, თითოეული 6 ლარად.

წარმოების დანახარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

### ნედლეული

თითოეულ „ზღარბი“-ს ესაჭიროება სამი სახეობის ნედლეული A, B და C. ნედლეული ბიზნესში გამოიყენება რეგულარულად და მარავი ივება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ნედლეულის მარავი უკვე არსებობს საწყობში. ეს ნედლეული „X“-ის მიერ არ გამოიყენება რეგულარულად და თუკი „ზღარბი“-ს საწარმოებლად არ იქნება საჭირო, მაშინ უნდა გაიყიდოს. C ნედლეულის მარავი არ არსებობს და ივი სპეციალურად „ზღარბი“-სათვის უნდა იქნეს შესყიდული.

ქვემოთ მოცემულია თითოეული ნედლეულის მიმდინარე სასაწყობო მარავი და დანახარჯები:

ნედლეულის სახეობა	თითოეული „ზღარბი“-თვის საჭირო (მეტრი)	მიმდინარე რ-ბა მარავი (მეტრი)	საწყისი ღირ-ბა ლარი	ჩანაცვლების (მიმდინარე შესყიდვის) ღირ-ბა ლარი	სარგალიზაციო ღირ-ბა ლარი
A	<b>0.8</b>	<b>200,000</b>	<b>1.05</b>	<b>1.25</b>	<b>0.90</b>
B	<b>0.4</b>	<b>30,000</b>	<b>1.65</b>	<b>1.20</b>	<b>0.55</b>
C	<b>0.1</b>	<b>0</b>	-	<b>2.75</b>	<b>2.50</b>

### მუშახლი

ერთი „ზღარბი“-ს საწარმოებლად საჭიროა კვალიფიციური მუშახლის ნახევარი საათი და არაკვალიფიციური მუშახლის მეოთხედი საათი, შესაბამისად საათში 3 და 2 ლარის ანაზღაურებით.

„ზღარბი“-ს საწარმოებლად საჭირო კვალიფიციური მუშახლი სპეციალურად უნდა იქნეს დაქრიცებული, ხოლო არაკვალიფიციური 25,000 სამუშაო საათია საწარმოს განკარვულებაში, იმ შემთხვევაში თუკი „ზღარბი“ არ იწარმოება. ამასთან კომპანიის პოლიტიკის თანახმად ახლო მომავალში არ განხორციელდება არცერთი არაკვალიფიციური მუშახლის შემცირება.

საჭიროა სრულ შტატზე მომუშავე ერთი ზედამხედველი 7,000 ლარის წლიური ხელფასით. შტატში არსებული ზედამხედველი დათანხმდა ერთი წლით გადადოს პენსიაზე გასვლა და უარი თქვას 4,000 ლარის ოდენობის წლიურ პენსიაზე, ამ პერიოდში თავისი ძველი ხელფასის (7,000 ლარის) შენარჩუნების პირობით.

### მანქანები

„ზღარბი“-ს საწარმოებლად საჭიროა ორი X და Y მანქანა, რომელთა შესახებაც ცნობილია:

	X	Y
საწყისი ღირებულება	35,000	25,000
დაგროვილი ამორტიზაცია	24,000	18,000
ნარჩენი ღირებულება	11,000	7,000
ასაკი	4 წელი	6 წელი
საკარაულო გამოსაყენებლად გარეისი ღრო	1 წელი	2 წელი
საკარაულო ღირებულება გარვისიანობის ღროის ბოლოს	5,000	1,000

ცნობილია ასევე „ზღარბი“-ს წარმოების წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის ორივე ძანქანის ღირებულება.

	წლის დასაწყისში ღარი	წლის ბოლოს ღარი
X ძანქანა:	ჩანაცვლების ღირებულება	40,000
	დღევანდელი სარგალიზაციო ღირებულება	7,000
Y ძანქანა:	ჩანაცვლების ღირებულება	30,000
	დღევანდელი სარგალიზაციო ღირებულება	4,000

თუკი X ძანქანა არ იქნება გამოყენებული „ზღარბი“-ს საწარმოებლად, მაშინ ის საწარმოში არსებული სხვა პროდუქტების საწარმოებლად გამოიყენება, რომელთა რეალიზაციის შედეგად საკარაულო 50,000 წმინდა შემოსავლის მიღება.

X ძანქანა წარმოადგენს საწარმო „X“-ის სხვადასხვა პროდუქტის საწარმოებლად გამოყენებული მსგავსი ძანქანებიდან ერთ-ერთს. ყველა ამ ძანქანის შეცვლა ხდება მათი გარვისიანობის ღროის ამოწურვისას.

Y ძანქანა ერთადერთია ფირმაში ამ ტიპის ძანქანებს შორის და თუკი არ იქნება გამოყენებული „ზღარბი“-ს წარმოებაში, მაშინ დაუყონებლივ უნდა გაიყიდოს.

### ზედნადები ხარჯები

„ზღარბი“-ს ერთეულ პროდუქტზე მიეუთვნებადი ცვლადი ზედნადები ხარჯები შეფასებულია 1.50-ლარად. წარმოების ფიქსირებული ზედნადები ხარჯები საწარმო „X“-ს მიერ პროდუქტზე განაწილებულია სამუშაო საათების საფუძველზე და დაძლევა წლისათვის დადგენილია 2.50 ლარი ერთ სამუშაო საათზე „ზღარბი“-ს წარმოება არ გამოიწვევს დამატებითი ფიქსირებული დანახარჯების წარმოქმნას.

### ამოხსნა

„ზღარბი“-ს წარმოებისა და რეალიზაციის მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ახლა შევვიძლია ყურადღება შევაჩეროთ საწარმო „X“-ის მომებიანობის შეფასებაზე ამისათვის უნდა განისაზღვროს „ზღარბის“ წარმოებისათვის საჭირო თითოეული რესურსის რელევანტური დანახარჯები. თითოეული რესურსისათვის საჭიროა შედარების გაკეთება, რომელიც გვიჩვენებს ფულადი

სახსრების ნაკადებს „ზღარბი”-ს წარმოებისა და არწარმოების შემთხვევაში. სწორედ მათი სხვაობა წარმოადგენს „ზღარბი”-ს წარმოებისას თითოეულ რესურსთან დაკავშირებულ წარმოების რელევანტურ დანახარჯს.

გთვაზობთ ამ პრინციპით დათვლილ ფულადი ნაკადების ცხრილს, რომელსაც განვიხილავთ ქვემოთ მოცემულ განმარტებებში:

#### ფულადი სახსრების ნაკადები

ნედლეული	წარმოება ლარი	არ-წარმოება ლარი	წარმოების რელევანტურ დანახარჯები ლარი
<b>A</b>	(100,000)	0	(100,000)
<b>B</b>	(12,000)	16,500	(28,500)
<b>C</b>	(27,500)	0	(27,500)
			<b>(156,000)</b>
<b>მუშანელი</b>			
კვალიფიციური	(150,000)	0	(150,000)
არაკვალიფიციური	(50,000)	(50,000)	0
ზედამხედველი	(7,000)	(4,000)	(3,000)
			<b>(153,000)</b>
<b>მანქანები</b>			
<b>X</b>	(35,000)	(40,000)	5,000
<b>Y</b>	3,000	4,000	(1,000)
			<b>4,000</b>
<b>ზედნადები ზარჯები</b>			
ცვლადი	(150,000)	0	(150,000)
ფიქსირებული	-	-	-
			<b>(150,000)</b>
<b>საერთო მზარდი დანახარჯები</b>			<b>455,000</b>
საერთო შემოსავალი რეალიზაციიდან			<b>600,000</b>
<b>წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები (კონტრიბუცია)</b>			<b>145,000</b>

ამგვარად დამდეგი წლისათვის 100,000 „ზღარბი”-ს წარმოების შემთხვევაში საწარმო „X”-ს მზარდი დანახარჯები იქნება 455,000 ლარი. რეალიზაციიდან მიღებული ფულის 600000 ლარის გათვალისწინებით წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები იქნება 145,000 ლარი. სასურველია კრიტიკულად განიხილოთ ზემოთ ნაჩვენები მზარდი დანახარჯების წარმოქმნა, რათა მოლისანად

გათავროთ რელევანტურობის პრინციპი. თითოეული რესურსის რელევანტური დანახარჯების განსაზღვრის საფუძლები შესწავლითა ქვემოთ.

### ნედლეული

A: რამდენადაც ეს ნედლეული რეგულარულად გამოიყენება ბიზნესში და მარავი იქნება მხოლოდ გამოყენების შემდეგ – სხვა საქმიანობისათვის შემდგომ გამოსაყენებლად საჭირო 80,000 მეტრი უნდა შეივსოს, ამასთან ერთი მეტრის მიზანიანება შესყიდვის ფასია 1,25 ლარი. სწორედ ამ დამატებით ხარჯს 100,000-ს გამოიწვევს “ზღარბის” წარმოება.

B: „ზღარბი“-ს ესაჭიროება 40000 მეტრი. წარმოების შემთხვევაში შესყიდული უნდა იქნეს 10,000 მეტრი, ერთი მეტრის ფასია 1,20 ლარი. საწყობში უკვე არსებული 30,000 მეტრის პირვანდელი დანახარჯი წარმოადგენს დაუბრუნებლად დანახარჯს, ამიტომ იგი წარმოადგენს არარელევანტურია. „ზღარბი“-ს არ წარმოების შემთხვევაში არსებული მარავი გაიყიდებოდა სარეალიზაციო ღირებულებით, 16,500 ლარად (1 მეტრი 0.55 ლარად) ანუ 16500 ლარი წარმოადგენს “აღტერნატიულ ხარჯებს” და რელევენტურია.

C: „ზღარბი“-ს წარმოების შემთხვევაში წარმოიშობა დამატებითი ფულადი სახსრების ნაკადი 10,000 მეტრის სპეციალურად შესყიდვისათვის, 27,500 ლარი (1 მეტრი 2.75 ლარი).

### მუშახელი:

**კვალიფიციური:** „ზღარბი“-ს წარმოებისას 150,000 ლარი დამატებითი შრომის ანაზღაურება ხორციელდება, ეს ანაზღაურება უკავშირდება სპეციალურად ამ მიზნით დაქირავებულ მუშახელს (100,000c x 0,5სთ ხ 3ლ = 150000ლ).

**არაკვალიფიციური:** არაკვალიფიციური მუშახელის 25000 (100000:4) საათიან დანახარჯებს რომლის რეზერვიც არსებობს, საწარმო „X“ რელევანტურად არ მიიჩნევს, რადგან იგი არაა დაკავშირებული „ზღარბი“-ს წარმოებასთან. კომპანიის პოლიტიკა ამ არაკვალიფიციური მუშახელის ხელფასებს ფიქსირებულ დანახარჯებად მიიჩნევს, რომელიც არ შეიძლება ახლო მოძალუში შეიცვალოს, ამიტომ იგი არაა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას.

**ზედამხედველი:** ზედამხედველის რელევანტური დანახარჯი წარმოადგენს სხვაობას „ზღარბი“-ს წარმოების შემთხვევაში გადახდილ ხელფასს (7,000 ლარი) და მისი არწარმოებისას გადასახდელ პენსიას (4,000 ლარი) შორის.

მუშახელის რელევანტური დანახარჯების შეფასებისას განისაზღვრება წარმოების აღმოსაფხვრელი დანახარჯები. ანუ ის დანახარჯები რომლებიც არ წამოიშობოდა „ზღარბი“-ს არწარმოების შემთხვევაში. თუკი მუშახელის რომელიმე ნაწილის სხვა მომგებიანი დანიშნულებით გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი, მაშინ ანალიზში შევიდოდა ამ გამოუყენებული შემოსავლის აღტერნატიული დანახარჯიც.

### X მანქანა

„ზღარბი“-ს წარმოებაში მანქანის გამოყენებისას.

წლის დასაწყისში ფულადი სახსრები სხვა X მანქანის შესაძლებად	(40,000 ლარი)
წლის ბოლოს ფულადი სახსრების შემოსვლა X მანქანის გაყიდვიდან მისი კარგისანობის დროის ბოლოს	5,000 ლარი

„ზღარბი“-ს არწარმოების გადაწყვეტილების მიღებისას.

წლის დასაწყისში ფულადი სახსრების მოძრაობა არ არის	0
წლის ბოლოს ფულადი სახსრების განვლები ახალი X მანქანის შესაძენად	(45,000 ლარი)
ფულადი სახსრების შემოსვლა X მანქანის გაყიდვიდან	5,000 ლარი

ეს ამგვარად შეჯამდება:

	წარმოება ლარი	არწარმოება ლარი	ნაზარდი ლარი
წლის დასაწყისში	(40,000)	0	(40,000)
წლის ბოლოს	5,000	(45,000)	40,000
		5,000	5,000
	(35,000)	(40,000)	5,000

ამგვარად „ზღარბი“-ს წარმოების წმინდა ეფექტია წლის დასაწყისში ერთი წლით X მანქანის შესყიდვის დაჩქარება, ამით მიიღწევა 5,000 ლარის დაზოგვა, რამდენადაც წლის დასაწყისში X მანქანა უფრო იაფი ღირს.

Y: „ზღარბი“-ს წარმოება ერთი წლით შეაფერხებს Y მანქანის გაყიდვას. ამ პერიოდის განმავლობაში მანქანის გაყიდვის ღირებულება შემცირდება 1,000 ლარით, როგორც ეს ზემოთ მოცემულ მანქანის ღირებულებებში ჩანს.

მანქანა-მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებული რელუვანტური დანახარჯების განსაზღვრისას იგივე მსჯელობა გამოყენება, რაც ნედლეულთან დაკავშირებით. თუმცი მანქანა-მოწყობილობების შეცვლა ხდება მათი ვარგისანობის დოლოს ან ბიზნესში აქტივების გამოუყენებლობასთან დაკავშირებით, მაშინ ჩანაცვლების დანახარჯები წარმოადგენ რელუვანტურს. თუმცი აქტივები არ შეიცვლება, მაშინ რელუვანტური დანახარჯებია უდიდესი სარგალიზაციო ღირებულებასა და აქტივების გამოყენებით მიღებულ წმინდა შემოსავალს (ეკონომიკური ღირებულებას) შორის.

რელუვანტური დანახარჯების ამ ანალიზისას გაკეთებულია დაშვება, რომ X მანქანის გამოყენება კომპანიისათვის მომგებიანია.

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ პრაქტიკაში შესაძლოა რთული იყოს ცალკეული აქტივების გამოყენების ნამდვილი ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, ვიდრე არ განისაზღვრება მათი ეკონომიკური ღირებულება.

### ზედნადები ხარჯები

ერთეული „ზღარბი“-ს ცვლადი ზედნადები დანახარჯები 1.50 ლარი რელევანტურია და წარმოიშობა მხოლოდ „ზღარბი“-ს წარმოების შემთხვევაში. მის საპირისპიროდ ფიქსირებული ზედნადები ხარჯები შეიძლება მიჩნეულ უნდა იქნეს არარელევანტურად. გადაწყვეტილების მაჩნით მხოლოდ ის დანახარჯებია რელევანტური, რომლებიც უცლება გადაწყვეტილების მიღების შესაბამისად.

ზემოთ განხილული დიფერენცირებული ფულადი სახსრების ანალიზის მსგავსი უწყისი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მინვარებისათვის წარსაღებად. მას ასევე დამატებითი უნდა მიეწოდოს ინფორმაცია თითოეული რესურსის გამოყენების შეფასების „ტრადიციული ხარჯთაღრიცხვის“ პრინციპის შესაბამისად. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტორზე, რომ დამატებითი ფულადი შემოსავალი 145000 ლარი წარმოადგენს საწარმი „X“-ს ფულადი სახსრების მოსალოდნელ ზრდას, გამოწყველს „ზღარბი“-ს წარმოებით და არა საჭირო რესურსების საუკეთესო აღტერნატიული გზით გამოყენებით.

ამგვარად, მარივი ფინანსური გამოთვლებითაც ნათლად ჩანს, რომ „ზღარბი“-ს წარმოება და რეალიზაცია გამართდებულია. თუმცა, როგორც აღრევე აღინიშნა გადაწყვეტილების მიღებისათვის შეიძლება არსებობდეს სხვა საინტერესო ფაქტორებიც. დაბალანსებული გადაწყვეტილების მისაღებად ანალიზის დროს უნდა განისაზღვროს და გათვალისწინებულ იქნეს არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა გრძელვადიან მარკეტინგულ სტრატეგიაზე ზემოქმედება, მომხმარებლის რეაგირება, კონკურენტების რეაგირება და ა.შ.

## დასკვნა

ზემოთ განხილული ანალიზისას, „ზღარბის“ წარმოებასთან დაკავშირებული ფინანსური ფაქტორების შესაფასებლად გამოყენებული იქნა რელევანტურობის პრინციპი. პირვანდელი ღირებულება, როგორც რესურსის რელევანტური დანახარჯების შესაბამისი საზომი, არასდროს არ ყოფილა არჩეული.

ეს წარმოადგენს პრაქტიკულ პრობლემას, რამდენადც “ტრადიციული ხარჯთაღრიცხვა” აღრიცხავს ოპერაციებს, რომელთა დანახარჯები უკვე გაწეულია მაგ. პირვანდელი ღირებულება. ამის გამო შეიძლება გაძნელებული იყოს ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემიდან ჩანაცვლების ან აღტერნატიული დანახარჯების გამოყოფა. უფრო მეტიც, თუკი რელევანტური დანახარჯების მიღობობა უნდა იქნეს მიღებული, ბუღალტერს მოუწევს მენეჯერის ინფორმირება, რომ მის მიერ წარდგენილი ფინანსური მონაცემები სწორად იქნეს აღქმული.

თუმცა, მოუხედავად გადაწყვეტილების მიღებისადმი სწორი მიღობის დანერგვის ამ წინააღმდეგობისა, „ტრადიციული დანახარჯთა“ კალკულაციის პრინციპების გამოყენების აღტერნატიულ გზას მივყავრთ სუბოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე. პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის მიღობისათვის დამახასიათებელი საშიშროებები განხილულია ქვემოთ.

## სავაჭრო უწყისი:

ლარი	ლარი	ლარი
------	------	------

რეალიზაცია	<b><u>600,000</u></b>
------------	-----------------------

გამოკლებული დანახარჯები:	
--------------------------	--

**ნედლეული**

<i>A</i> (80000გ 1.05ლარი)	84,000
<i>B</i> (30000გ 1.65+10000გ 1.20ლარი)	61,500
<i>C</i> (10000გ 2.75)	<u>27,500</u>

	<b>(173,000)</b>
--	------------------

**მუშაბელი**

კვალიფიცირებული	
<i>(50000სათი 3 ლარი)</i>	<b><u>150,000</u></b>
არაკვალიფიცირებული	
<i>(25000სათი 2 ლარი)</i>	50,000
<b>ზედამხედველი</b>	<u>7.000</u>

	<b>(207,000)</b>
--	------------------

**მანქანების ამორტიზაცია**

<i>X</i> [(11000 – 5000) : 1]	6,000
<i>[ ( 7000 – 1000 ) : 2 ]</i>	<u>3.000</u>

	<b>(9,000)</b>
--	----------------

**ზემნადები**

აპრის გამოკვლევა	2,000
<i>ცვლადი (100000 1.50ლარი)</i>	150,000
<i>ფიქსირებული (75000 2.50ლარი)</i>	<u>187,500</u>

	<b>(339,500)</b>
--	------------------

მოლიანი დანახარჯები	<b><u>728,500</u></b>
---------------------	-----------------------

ზარალი კატერობიდან	<b><u>(128,500)</u></b>
--------------------	-------------------------

ტრადიციული დანახარჯთა კალკულაციის პრაქტიკის გამოყენებისას, ზოგი სპეციფიკური რესურსი პროდუქტში აისახება თავისი თავდაპირველი ღირებულებით. მაგალითისთვის განვიხილოთ ზემოთმოცემულ სავაჭრო უწყისში გამოყენებული ნედლეულის დანახარჯები. თუმცა, გადაწყვეტილების ანალიზისათვის არასწორია პირვანდელი ღირებულებით ასახვა. მოქმედების

კურსის შესაფასებლად მნიშვნელოვანია პასუხი გაუცეს კითხვას: რა გავლენას მოახდენს იგი ბიზნესის ფულადი სახსრების ნაკადებზე? ამგარად, ჩვენს მაგალითში ნედლეულთან დაკავშირებით, B-ს მხოლოდ დამატებითი 10,000 მეტრის და C-ს დამატებითი 10,000 მეტრის ღირებულება წარმოადგენს რელუვანტურს. პირვანდელი ღირებულება არ წარმოადგენს რელუვანტურს, კოდრე ისინი გავლენას არ მოახდენენ მომავლის ფულადი სახსრების ნაკადებზე.

მეორე მნიშვნელოვანი სხვაობა მდგომარეობს აქტივების ამორტიზაციისადმი მიღვომაში. ამორტიზაციის ტრადიციული აღრიცხვის მეთოდები, როგორიცაა წრფევი ან დაჩქარებული ამორტიზაციის, მეთოდი წარმოადგენს წარსულის დანახარჯების დაბალანსებისა და აღდგენის პრაქტიკას. ახლა გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს განსახილველ პროექტში აქტივების გამოყენებისას საკარაულო ზარალის შეფასება.

მესამე მნიშვნელოვანი სხვაობა მდგომარეობს ფიქსირებულ დანახარჯებში. ზემოთ განხილულ მაგალითში, წარმოებაზე გადაწყვეტილების მისაღებად არ გავითვალისწინეთ არაგალიფიციურ მუშახელის ხელფასებს და ფიქსირებული ზედნადებ დანახარჯებს, რამდენადაც ისინი მაინც იარსებებენ. მოუხდავად ამისა, “ტრადიციული აღრიცხვით” მსგავსი ფიქსირებული დანახარჯები ხშირად განსაზღვრავს პროექტის აღტერნატივას.

ჩანს, რომ “ტრადიციული აღრიცხვის” პრაქტიკასა და დიფერენცირებული ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზს შეორის განსხვავება წარმოშობს აშკარა წინააღმდევობას. ჩვენს მაგალითში ტრადიციული მოვების უწყისიდან “ზარალი” 128,500 ლარი სინაძღვილეში წარმოადგენს ზრდადი ფულადი ნაკადების 145,000-ით მატებას. ამიტომ ძნელი არა დავინახოთ ტრადიციული აღრიცხვის პრაქტიკის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების ნაკლებობაზისალურობა.

**ამდენად:** როცა მენეჯერებს ვაწოდებთ ინფორმაციას სულ უნდა გვახსოვდეს – “სხვადასხვა დანახარჯები, სხვადასხვა მიზნით”.

#### 4 . 2 . გადაწყვეტილების მიღების სხვა საკითხები

გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მიმართულ იქნეს მოკლევადიანი საოპერაციო პრობლემების გადასაჭრელად ან შეიძლება წარმოადგენდეს გრძელვადიანი დაგეგმვის შემადგენელ ნაწილს. ამის მიხედვით გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვადასხვა მიღვომას.

##### მოკლევადიანი გადაწყვეტილების მიღება

მოკლევადიანი გადაწყვეტილების მიღება ხშირად მოიცავს არსებული რესურსების სუკეთესოდ გამოყენების მცდელობას.

##### გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიღება

მოკლევადიან პერიოდში „ფიქსირებულად“ (და აქედან გამომდინარე გადაწყვეტილებისათვის უმნიშვნელოდ) მიჩნეული დანახარჯები, შეიძლება გახდეს ცვლადი და/ან გადაწყვეტილებისას მნიშვნელოვანი, თუკი სიტუაცია საჭიროებს გრძელვადიანი პერიოდის განხილვას. მაგალითად, თუ გადასაწყვეტია ერთ კვირაში A ან B საქმეზე არჩევანის გაკეთება, მაშინ მათზე გამოსაყენებელი მოწყობილობების დანახარჯები (შენახვა და ამორტიზაცია) სავარაუდოა რომ იყოს ფიქსირებული და გადაწყვეტილებისათვის უმნიშვნელო. მაგრამ, თუ გადასაწყვეტია შემდგომ 5 წლის განმავლობაში ვაწარმოოთ A

ან ვ პროდუქტი, მაშინ მიღებული გადაწყვეტილება უძველად იმოქმედებს საჭირო მოწყობილობების სახეობასა და მოცულობაზე. ამგვარად, მოწყობილობებთან დაკავშირებული „ფიქსირებული“ დანახარჯები გრძელვადიანი გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანია.

გრძელვადიანი გადაწყვეტილებები მოითხოვს მომავლის შესახებ მეტ ვარაუდებს და განსახორციელებელი ინვესტირების აღტერნატიულ დანახარჯებზე მეტ დაფიქრებას. განუსაზღვრელობისა და ფულის დროითი ღირებულების ეს მხარეები განხილული იქნება მოგვიანებით.

### ზარისხობრივი ფაქტორები

გადაწყვეტილების მიღებისას ყველა ასპექტი არ ექვემდებარება ზუსტ ზარისხობრივ ანალიზს. გადაწყვეტილების მიღებამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს შემდეგ ფაქტორებზე (დაინტერესებულ ჯგუფებზე)

- **მუშახელი.** ნებისმიერი გადაქცევეტილება, რომელიც მოქმედებს შრომით საქმიანობაზე, მორალურ ეფექტს ახდენს მუშახელზე;
- **მოშემარებლები.** მოშემარებლებზე გავლენა განხორციელდება ნებისმიერი გადაწყვეტილებით, რომელიც შეეხება პროდუქტის ცვლილებას ან მის მოშემარებას;
- **მომწოდებლები.** მომწოდებლებზე გავლენა განხორციელდება წარმოების შეცვლით, რაც შესაბამისად გამოიწვევს ნედლეულისა და მიწოდების გრაფიკის შეცვლას;
- **კონკურენტები.** პროდუქციის სპეციფიკის შეცვლისა და ფასების დაწესებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილება ზეგავლენას მოახდენს კონკურენტებზე;
- **დეფიციტური რესურსების მართვა.** გადაწყვეტილების შედეგად წარმოებაში ცვლილებამ შეიძლება შეცვალოს ცალკეულ რესურსზე მოთხოვნა და მისი რაოდენობა.

წინა თავებში ვისაუბრეთ შემზღვეველი ფაქტორების არსებობისას გადაწყვეტილების მიღების საკითხებზე, ესლა განვიხილოთ მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღების სხვა სიტუაციები.

### 4 . 3 . ბიზნესის სეგმენტის შეწყვეტა

ბიზნესის სეგმენტი, ნაწილი ”ტრადიციული“ მოგების უწყისით შეიძლება არამომგებიანი ჩანდეს. სეგმენტს შიძლება წარმოადგენდეს პროდუქტი, განყოფილება ან სადისტრიბუციო არხი. დახურვაზე გადაწყვეტილების მისაღებად ხარჯთაღმრიცხველმა უნდა განსაზღვროს:

- სეგმენტის მიერ გამომუშავებული კონტრიბუციის დაკარგვა.
- შეწყვეტილან გამომდინარე გარკვეული ფიქსირებული დანახარჯების ეკონომია.
- არასასურველი პრობლემები, მაგ. ზედმეტი მუშახელის განთავისუფლება, მოშემარებლებზე კომპენსაცია და ა.შ.
- გამონთავისუფლებული რესურსების აღტერნატიული გამოყენება.
- არარაოდენობრივი ეფექტები.

### მაგალითი

სავაჭრო ცენტრი შედგება სამი განყოფილებისაგან – მამაკაცთა ტანსაცმლის, ქალთა ტანსაცმლის და შერული (ორივე ხელის ტანსაცმელი). მაღაზის ბიუჯეტს შემდეგი სახე აქვს:

	მამაკაცთა	ქალთა	შერული	ჯამი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<b>რეალიზაცია</b>	<b>40000</b>	<b>60000</b>	<b>20000</b>	<b>120000</b>
რეალიზაციის პირდ. დანახარჯ.	20000	36000	15000	71000
განყოფილების დანახარჯები	5000	10000	3000	18000
სავაჭრო ცენტრის ვადასანაწ. დანახარჯ.	<u>5000</u>	<u>5000</u>	<u>5000</u>	<u>15000</u>
<b>მოვება(ზარალი)</b>	<b><u>10000</u></b>	<b><u>9000</u></b>	<b><u>(3000)</u></b>	<b><u>16000</u></b>

რამდენადაც შერული განყოფილება ზარალიანია, შემოთავაზებულია მამაკაცთა და ქალთა განყოფილებების გაფართოების ხარჯზე შერული განყოფილების დაწურვის წინადადება.

სხვადასხვა პროდუქტისა თუ განყოფილებების შედეგებისა და გეგმების შესაძარებლად ინფორმაციის წარდგენისას მნიშვნელოვანია ცალკეული სეგმენტის საერთო და წმინდა კონტრიბუციის ჩვენება. ამ მიზნით ზემოთ განხილული მაგალითის ინფორმაცია შეძლები სახეს მიიღებს.

	მამაკაცთა	ქალთა	შერული	ჯამი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<b>რეალიზაცია</b>	<b>40000</b>	<b>60000</b>	<b>20000</b>	<b>120000</b>
რეალიზაციის პირდ. დანახარჯ.	20000	36000	15000	71000
საერთო კონტრიბუცია	20000	24000	5000	49000
განყოფილების დანახარჯები	5000	10000	3000	18000
<b>წმინდა კონტრიბუცია</b>	<b>15000</b>	<b>14000</b>	<b>2000</b>	<b>31000</b>

ასეთი ანალიზი გვიჩვენებს, რომ შერული განყოფილება გამოიმუშავებს 2000 ლარის წმინდა კონტრიბუციას და ეს წვლილი შეაქვს სავაჭრო ცენტრის საერთო დანახარჯების დაფარვაში.

### 4 . 4 . დროებითი დახურვა

როდესაც საწარმოს აქვს მნიშვნელოვანი სავაჭრო პრობლემები, რომლის გადაწყვეტა არ მოხერხება უახლოეს მომავალში, მაშინ შეიძლება განიხილონ მისი დროებითი დაწურვის წინადადება. დანახარჯების გარდა გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის შეჩერებას მოჰყვება მათი ამოვარდნა კომერციულის მხედველობის არიდან, ანუ დავიწყება
- მუშახელის განთავისუფლება დანარჩენებში გამოიწვევს ცუდ შეგრძნებებს და ფუნქციონირების კვლავ დაწყებისას მუშახელის თავიდან აყვანაში შესაძლო სიძნელებს
- მანქანა-მოწყობილობების მომველების საშიშროება და ა.შ.

მოკლევადიანი თვალსაზრისით, საწარმოს შეუძლია გააგრძელოს საქმიანობა, თუკი წმინდა კონტრიბუცია ფარავს ფიქსირებულ დანახარჯებს. სავაჭრო სიძნელეების პერიოდში, როდესაც ფიქსირებული დანახარჯების დასაფარად თუნდაც მცირე კონტრიბუცია იქმნება, ხშირად უკეთეს შედეგს იძლევა მუშაობის გაგრძლელება.

### **მავალითი:**

კომპანია მუშაობს თავისი სიმძლავრის 40%-ით და კარაუდობებს საწარმოს ერთი წლით დახურვას. ამ დროის შემდეგ მოსალოდნელია მათ პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდა. მოცემულია შემდეგი მონაცემები:

	ლარი
რეალიზაციის მოცულობა 40% სიმძლავრისას	60,000
რეალიზაციის ცვლადი დანახარჯი 40% სიმძლავრისას	40,000
ფიქსირებული ხარჯები	50,000

საწარმოს დახურვისას ფიქსირებული დანახარჯები დარჩება 20000ლ მოცულობით. წარმოების დახურვასთან დაკავშირებული დანახარჯები იქნება 4000ლ.

### **ამონანა**

#### **მოვება-ზარალის უწყისი**

მუშაობის გაგრძლებისას	ლ	დროებითი დახურვისას	ლ
რეალიზაცია	60000	ფიქსირებული დანახარჯები	(20000)
რეალიზ. ცვლადი დანახარჯ.	(40000)	დახურვის დანახარჯები	(4000)
კონტრიბუცია	20000		
ფიქსირებული ხარჯები	(50000)		
წმინდა ზარალი	(30000)		(24000)

თუკი დახურვისას გამოვრიცხავთ ყველა დანახარჯს, მაშინ კომპანია ერთი წლით დახურვის შემთხვევაში მინიმუმადე შეაძლებს ზარალს.

ეურადღება მიაქციეთ, რომ 20000ლ ზღვრული კონტრიბუცია ვერ ფარავს არსებულ ფიქსირებულ დანახარჯებსა და დახურვისას წარმოშობილ დანახარჯებს მორის სხვაობას (ანუ (50000-24000)ლ=26000ლ>20000ლ). თუ ის 26,000 ლარზე მეტი იქნება, მაშინ შეიძლება გავ ზღელდეს გამოშვება, რადგან ნამეტით მონაწილეობას მიიღებს სხვა მუდმივი დანახარჯების დაფარვაში.

#### 4 . 5 . წარმოებასა თუ შესყიდვაზე გადაწყვეტილების მიღება

##### წარმოებასა თუ შესყიდვაზე გადაწყვეტილების მიღების სახეები

ზოგჯერ საწარმოს საშუალება აქვს სხვა კომპანიისაგან შეისყიდოს საჭირო კომპონენტები ან ასაწყობი ნაწილები, რომლებიც აქამდე მათივე რესურსებით იწარმოებოდა.

არჩევანის გაკეთებამდე მენეჯმენტმა უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები:

- მომარაგების ალტერნატიული წყარო მხოლოდ დროებითაა ხელმისაწვდომი თუ ხანგრძლივი პერიოდით?
- არსებობს სათადარიგო საწარმოო სიმძლავრეები ამჟამად და/ან მომავალში?

##### სარეზერვო სიმძლავრეები

თუკი საწარმო მუშაობს მაქსიმალური სიმძლავრის ქვევით, გარედან კომპონენტების შესყიდვისას საკუთარი საწარმოო რესურსები დარჩება გამოუყენებელი. მოკლევადიანი გადაწყვეტილების მიღებისას ამ რესურსების ფიქსირებული დანახარჯები არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ისინი იარსებებს კომპონენტების შესყიდვასა თუ ადგილზე წარმოების მიუხედავად. ამიტომაც შესყიდვაზე გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, როდესაც შესყიდვის ფასი ნაკლები იქნება საკუთარი წარმოებისას წარმოშობილ ცვლად ხარჯებზე.

გრძელვადიან პერიოდში საწარმომ შეიძლება გამოაწავისუფლოს საკუთარი რესურსები და შეისყიდოს გარედან, თუკი ამით გააკეთებს შესყიდვის დანახარჯების ეკონომიას.

##### მავალითი:

კომპანია აწარმოებს პროდუქტის შემადგენელ კომპონენტს, რომელიც გამოიყენება ერთ-ერთი თავისი პროდუქტის საწარმოებლად. განყოფილებას, სადაც კომპონენტი იწარმოება, წელიწადში აქვს – 24,000ლ ფიქსირებული დანახარჯი. წარმოების ცვლადი დანახარჯები პროდუქტის ერთეულზე შეადგენს - 2.55ლ-ს. კომპონენტი შეიძლება გარედანაც იქნეს შესყიდული თითო ერთეული 2.65ლარად.

მიმდინარე საჭიროებაა – 80,000 კომპონენტი წელიწადში. უნდა გაავრძელოს კომპანიამ კომპონენტის წარმოება თუ უნდა შეისყიდოს იგი გარე მომწოდებლებისგან?

##### ამოხსნა:

გარედან შესყიდვისას კომპანიას ერთეული ( $2.65-2.55=0.10$ ) ლარით მეტი დაუკადება. და 80,000 კომპონენტში კომპანია წელიწადში გადაიხდის 8,000 ლარს. ამრიგად, კომპანიამ რომ მიიღოს

საბოლოო გადაწყვეტილება შეისყიდოს თუ არა კომპონენტი, საჭიროა გაავრძელოს 24,000ლ ფიქსირებული დანახარჯის ანალიზი, რათა განისაზღვროს წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში ფაქტობრივად 8,000ლ-ზე მეტი იქნება დაზოგილი თუ არა.

### გადაწყვეტილებაზე მოქმედი სხვა შეხედულებები

გადაწყვეტილების მიღებამდე მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს სხვა ფაქტორებიც. ზოგი მათგანი შეიძლება იყოს რაოდენობრივად განსაზღვრადი, ზოგი კი არა:

- მომარაგების უწყვეტობა და კონტროლი. გარე კომპანიას შეუძლია თუ არა დააკმაყოფილოს: რაოდენობრივი, ხარისხობრივი, მიწოდების ვადასა და ფასის სტაბილურობაზე წაყენებული მოთხოვნები;
- რესურსების ალტერნატიული გამოყენება. თუ კომპანია თავიდან აღარ აწარმოებს კომპონენტს ამ კომპონენტზე გამოყენებული რესურსები, დანახარჯების დაზოგვისა და შემოსავლების გაზრდის მიზნით, შეიძლება თუ არა მიმართული იქნეს სხვა საქმიანობაზე;
- სოციალური/სამართლებრივი. მიღებული გადაწყვეტილება მოახდენს თუ არა რაიმე გავლენას თანამშრომებისა და ბიზნეს-კავშირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ და ეთიკურ ვალდებულებებზე.

### ამოწურული სიმბლავრეები

თუკი, ყველა საწარმოო სიმბლავრის ამოწურვის გამო საწარმო ვერ ასრულებს დაკვეთებს მას შესაძლოა ხანმოკლე პერიოდით მოუწიოს გარედან შესყიდვა (თუკი ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შეკვეთებზე უარის თქმა). გრძელვადიანი პერიოდისთვის მენეჯმენტმა შეიძლება განიხილოს სხვა ალტერნატივა, მაგალითად კაპიტალური დაბანდების განხორციელება და საწარმოო სიმბლავრეების გაზრდა.

ასევე როცა პროდუქტი იწარმოება საერთო რესურსებით მენეჯმენტი ცდილობს არსებული სიმბლავრეების უფრო მომგებიან გამოყენებას მიაღწიოს მათი წარმოების ან შესყიდვის რეგულირებით. ამ შემთხვევაში ოპტიმალური გეგმის იოლად შედგენის საშუალებას იძლევა შემზღვდავი ფაქტორების კონცეფცია. შესყიდვაზე პრიორიტეტულობა დგინდება შემზღვდავი ფაქტორის ერთეულის შესყიდვის უპირატესი ლირებულების მიხედვით დაჯგუფებით. (ეს მეთოდი ჩვენ წინა თავებში განვიხილეთ)

### მაგალითი:

კომპანია „Z“ აწარმოებს დასრულებულ პროდუქტში გამოყენებულ სამ კომპონენტს. მათი მწარმოებული სამართლი ამჟამად ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნილებებს. ამიტომ, მათი ნაწილის გარედან შემოტანაზე უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული, შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით:

	A კომპონენტი	B კომპონენტი	C კომპონენტი
	ლარი	ლარი	ლარი

წარმოების ცვლადი დანახარჯები	3.00	4.00	7.00
გარედან შესყიდვის ფასი	<u>2.50</u>	<u>6.00</u>	<u>13.00</u>
ერთეულის უპირატესი ღირ-ბა	(0.50)	<u>2.00</u>	<u>6.00</u>
მანქანასაათი ერთეულზე	1	0.5	2
კაცსაათი ერთეულზე	2	2	4

### მოგვთხოვთ გადაწყვიტოთ:

- (ა) რომელი კომპონენტი უნდა შეისყიდოთ გარედან, თუკი კომპანია მთლიანი დატვირთვით მუშაობს:
- (ბ) რომელი კომპონენტი უნდა შეისყიდოთ გარედან, თუკი წარმოება შეზღუდულია კვირაში 4000 მანქანასაათამდე:
- (გ) რომელი კომპონენტი უნდა შეისყიდოთ გარედან, თუკი წარმოება შეზღუდულია კვირაში 4000 კაცსაათამდე.

### ამობსნა:

- (ა) A კომპონენტი ნებისმიერი შემზღუდავი ფაქტორის პირობებში უნდა იქნეს გარედან შესყიდული, რამდენადაც მისი წარმოების ცვლადი დანახარჯები უფრო მაღალია, ვიდრე გარედან შესყიდვის ფასი.
- (ბ) თუკი მანქანასაათი 4000-მდეა შეზღუდული:

	B კომპონენტი	C კომპონენტი
უპირატესი ღირებულება	2ლ	6ლ
მანქანასაათი ერთეულზე	0.5	2
მანქანასაათის უპირატესი ღირ-ბა	4ლ	3ლ

C კომპონენტს შემზღუდავი ფაქტორის ერთეულზე აქვს ყველაზე დაბალი უპირატესი ღირებულება და ამის გამო გარედან უნდა იქნეს შესყიდული.

### მტკიცება:

<i>B კომპონენტი</i>	<i>C კომპონენტი</i>
<i>4000 მანქანაში წარმ. ერთეულები</i>	<i><u>8000</u></i>
	<i><u>2000</u></i>

	ლარი	ლარი
წარმოების დანახარჯები	32000	14000
შესყიდვის დანახარჯები	48000	26000
შესყიდვის უპირატესი ღირებულება	16000	12000

(g) თუკი კაცსათი შეზღუდულია 4000 სათამძე:

	B კომპონენტი	C კომპონენტი
უპირატესი ღირებულება	2ლ	6ლ
კაცხათი	2	4
კაცხათის უპირატესი ღირებულება	<u>1ლ</u>	<u>1.50ლ</u>

შესაბამისად, კომპონენტს შემზღვდავთ ფაქტორის ერთეულზე აქვს ყველაზე დაბალი უპირატესი ღირებულება და ამის გამო გარედან უნდა იქნეს შესყიდული.

ମୃତ୍ୟୁକୁଳାଦି:

*B კომპონენტი* *C კომპონენტი*

	ლარი	ლარი
წარმოების დანახარჯები	8000	7000
შესყიდვის დანახარჯები	<u>12000</u>	<u>13000</u>
შესყიდვის უპირატესი ღირებულება	<u>4000</u>	<u>6000</u>

#### **4 . 6 . წინადადებების შეფასება**

მოცულობისა და დანახარჯების სტრუქტურის ცვლილება

მენვჯმენტს ინფორმაცია ესაჭიროება ისეთი წინადადებების შესაფასებლად, რომელთა მიზანიცაა საქმიანობის სტრატეგიის ცვლილების გზით მოვების ზრდა. ხართალმრიცხველს ევალება ნათლად აჩვენოს ცალკეული წინადადების მოვებაზე ზემოქმედება დანახარჯების და შემოსავლების ცვლილების ზუსტი ჩვენებით და იმ ცვლილებების ზღვარი, რომელზეც წინადადება მიუღებელი იქნება.

ମାତ୍ରାଲୋତ୍ତମ:

А յոմքենօս ավարժողջեւ և ցուցու յշտ პրոցեսից և դամբաշո ցունաններու წլաւուսաւցու մօսո პրոցենթու ակղուա:

ათ. ლარი

ათ. ლარი

100000 ქრონების რეალიზაცია გლ

800

მასალები:

300

<u>შრომითი დანახარჯები</u>	<u>200</u>
<u>ცვლადი დანახარჯები</u>	<u>500</u>
<u>კონტრიბუცია (ერთეულზე 3ლ)</u>	<u>300</u>
<u>ფიქსირებული დანახარჯები</u>	<u>150</u>
<u>წმინდა მოგება</u>	<u>150</u>

წმინდა მოგების გაზრდის მცდელობის ორი წინადაღება გვაქვს:

- (ა) სარეკლამო კომპანიის დაწყება, რაც 14000ლ ღირს. ეს 150000 ერთეულით გაზრდის რეალიზაციას, ამასთან ფასი უნდა შემცირდეს 7ლ-ძეგ:
- (ბ) ზოგი კომპონენტის წარმოების დაწყება, რომელთა შესყიდვაც ამჟამად მომწოდებლებისგან ხდება. ეს 20%-ით შეამცირებს მასალებზე დანახარჯებს, მაგრამ ფიქსირებულ დანახარჯებს გაზრდის 72000ლ-ძეგ.
- (ა) წინადაღება გაზრდის რეალიზაციიდან შემოსავალს, მაგრამ ასევე გამოიწვევს დანახარჯების მნიშვნელოვან გაზრდას:

ათ. ლარი	
<u>რეალიზაცია 150000*7ლ</u>	<u>1.050</u>
<u>ცვლადი დანახარჯები</u>	<u>750</u>
<u>კონტრიბუცია</u>	<u>300</u>
<u>ფიქსირებულ დანახარჯებს პლუს რეკლამა</u>	<u>164</u>
<u>წმინდა მოგება</u>	<u>136</u>

#### ამონსნა:

- (ა) წინადაღების მიღება არ ღირს მისი მიღება რომ გამართლებული იყოს წმინდა მოგების შესანარჩუნებლად რეალიზაცია დამატებით 7000 ერთეულით უნდა გაიზარდოს:

<u>რეკლამის დანახარჯები</u>	=	<u>14,000ლ</u>
<u>ერთეულის კონტრიბუცია</u>	=	<u>2ლ (300:150)</u>
<u>საჭირო დამატებითი რეალიზაცია</u>	=	<u>7,000 ერთეული</u>

- (ბ) წინადაღება 60,000ლ-ით ამცირებს ცვლად დანახარჯებს, მაგრამ 72000ლ-ით ზრდის ფიქსირებულ დანახარჯებს და ამის გამო არ არის რეკომენდირებული, ვიდრე პოლიტიკის შედეგად საერთო მოცულობა არ გაიზრდება (მაგ. თუკი ადრე კომპონენტების მოწოდება წარმოადგენდა შემზღვედავ ფაქტორს).

150,000ლ მოგების შესანარჩუნებლად საჭირო იქნება რეალიზაციის ზრდა (იმის დაშვებით, რომ ფასი დარჩება 8ლ):

$$\begin{array}{lcl} 100,000 \text{ ერთეულზე } \text{შემცირებული მოგება} & = & 12,000ლ \\ \text{ერთეულზე } \text{შესწორებული კონტრიბუცია} & = & 3.60ლ (3ლ+20\%) \end{array}$$

დამატებით საჭირო რაოდენობა = 3.333 ერთეული

### სარეზერვო სიმძლავრის დატვირთვა

იქ, სადაც წარმოება არსებულ სიმძლავრეზე ნაკლებია, შეიძლება წარმოიშვას სპეციალურად შემცირებული ფასით რეალიზაციის აღტერნატივა. ამგვარი აღტერნატივა მისაღებია, თუკი პასუხი შემდეგ ორ კითხვაზე არის „დიახ“:

- არის ჩვენს განკარგულებაში სარეზრვო სიმძლავრეები?
- დამატებითი შემოსავალი (რაოდენობა x ფასზე) აღემატება დამატებით დანახარჯებს (რაოდენობა x ცვლად დანახარჯებზე)?

ამის გარდა განხილვა უნდა შეეხოს:

- არსებობს სარეზერვო სიმძლავრეების გამოყენების უფრო მომგებიანი აღტერნატიული გზა (მაგ. გაყიდვების წახალისება, აღტერნატიული პროდუქტების დამზადება)?
- დაკვეთის მიღების შემთხვევაში ფიქსირებული დანახარჯები დარჩება უცვლელი?
- ნორმალურ გასაყიდ ფასზე დაბლა ერთი დაკვეთის მიღება გამოიწვევს თუ არა სხვა მომხმარებლების მიერაც ასევე ფასების შემცირების მოთხოვნას?

რაც უფრო გრძელვადიანია დასაგეგმი დროის პერიოდი, მით უფრო მნიშვნელოვანია ეს დამატებითი ფაქტორები.

### მაგალითი:

კომპანია „B“-ს ბიუჯეტი თვეში 8,000 ერთეულის წარმოებისას, რაც სიმძლავრის 80% წარმოადგენს, ამგვარა:

	ერთეულზე	8000 ერთეული
	ლარი	ლარი
<b>რეალიზაცია</b>	<b>5.00</b>	<b>40.000</b>
<b>ცვლადი დანახარჯები:</b>		
პირდაპირი შრომა	1.00	8,000
ნედლეული	1.50	12,000
ცვლადი ზედნადები	0.50	4.000
<b>სულ ცვლადი</b>	<b>3.00</b>	<b>24,000</b>
ფიქსირებული დანახარჯები	1.50	12,000
<b>სულ დანახარჯები</b>	<b>4.50</b>	<b>36,000</b>
ბოუჯეტური მოგება	0.50	4,000

წარმოიშვა თვეში 1,000 ერთეულის უსპორტის აღტერნატივა, თუკი ერთეულის ფასი იქნება 4ლ. უნდა მივიღოთ ეს კონტრაქტი?

### ამოხსნა:

(ა) გვაქვს თავისუფალი სარეზერვო სიმძლავრე? დიახ

ლარი

(ბ) დამატებითი შემოსავალი 1000\*4ლ

4000

დამატებითი დანახარჯი 1000*3ლ	<u>3000</u>
	<u>1000</u>

მოგებიანობა გაიზარდა, ამიტომაც კონტრაქტი უნდა მივიღოთ.

შევნიშნავთ, რომ ფიქსირებული დანახარჯები არ არის მნიშვნელოვანი ვადაწყვეტილებისათვის და ამის გამო მხედველობაში არაა მიღებული.

### ფასწამოქმნა სპეციალური კონტრაქტისას

საწარმო, რომელიც ასრულებს მომხმარებლის დაკვეთას, შეიძლება მუშაობდეს სიმბლავრეების მთელი დატვირთვით. ნებისმიერი დამატებითი დაკვეთის მიღებამდე უნდა განიხილებოდეს შემდეგი ორი საკითხი:

- რა ფასი უნდა დადგინდეს, რათა კონტრაქტი იყოს მოგებიანი?
- ამ კონტრაქტის მიღებისას შევძლებთ სხვა დაკვეთების შესრულებას?

შევნიშნავთ, რომ ამ კონტრაქტის მიღებისას, სხვა დაკვეთების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის მიერ გამომუშავებული კონტრიბუცია წარმოადგენს ახალი კონტრაქტის აღტერნატიულ შესაძლებლობათა დანახარჯს.

ამგვარ შემთხვევაში შემზღვდავი ფაქტორი ისე უნდა იქნეს გააზრებული, რომ კონტრაქტით განსაზღვრული ფასი სულ მცირე, უზრუნველყოფდეს შემზღვდავი ფაქტორის ერთეულზე კონტრიბუციის არსებულ დონეს.

### მაგალითი:

კომპანია „A“ მომხმარებლის (კომპანია „B“-ს) მიერ ვანსაზღვრული სპეციფიკაციის მიხდვით აწარმოებს სპეციალური დანიშნულების ყალიბებს. მაღალკვალიფიციური მუშახელი ყოველთვის მუშაობს სრული დატვირთვით და შეძლება წლის ბიუჯეტი ასეთია:

	ლარი	ლარი
რეალიზაცია		<b>40000</b>
პირდაპირი მასალები	<b>4000</b>	
პირდაპირი შრომა 3200 სათი 5 ლ/სათში	<b>16000</b>	
ზღვრული მოგება		<b>20000</b>
ფიქსირებული ზედნადები დანახარჯი	<b>10000</b>	
მოგება		<b>10000</b>

კომპანია „B“-სან მასალებ წინადადებას ესაჭიროება 60ლ-ის პირდაპირი მასალები და 40 კაცსათი.

### გათანარიშეთ:

- (ა) რა მინიმალური ფასი უნდა დავუწევოთ „B“-ს?
- (ბ) რა იქნებოდა მინიმალური ფასი, თუ იარსებებდა თავისუფალი სარეზერვო სიმბლავრეები, მაგრამ მასალების ოდენობა იქნებოდა შეზღუდული წელიწადში 4000ლ-ით?

### ამონსნა

(ა) შემზღვდავ ფაქტორს წარმოადგენს  $3200$  კაცსათი და ერთ საათზე ბიუჯეტით განსაზღვრული კონტრიბუცია არის  $20000\text{ლ}/3200\text{საათი}=6.25$  საათში. აქედან გამომდინარე, მინიმალური ფასია:

ლარი

<b>მასალები</b>	<b>60</b>
<b>ხელფასი 40 საათი 5ლ</b>	<b>200</b>
	<b>260</b>
<b>დამატებული კონტრიბუცია 40 საათი 6.25ლ</b>	<b>250</b>
<b>საკონტრაქტო ფასი</b>	<b>510</b>

ამ ფასით კონტრაქტი უზრუნველყოფს ბიუჯეტით გათვალისწინებული კონტრიბუციის მიღებას.

(ბ) თუკი შემზღვდავი ფაქტორი მასალებია, მაშინ მასალების ბიუჯეტური კონტრიბუცია თითოეულ ლარზე არის  $20000\text{ლ}+4000=5\text{ლ}$  თითოეულ 1ლ მასალაზე.

შესაბამისად მინიმალური ფასი იქნება:

ლარი

<b>მასალები.ხელფასი (როგორც ზემოთაა)</b>	<b>260</b>
<b>კონტრიბუცია (60ლ/მასალა ხ 5ლ/კონტრიბუცია)</b>	<b>300</b>
<b>საკონტრაქტო ფასი</b>	<b>560</b>

ვინაიდან მასალები არასაკმარისია, მათი შემზღვებული მოწოდებისას დამატებითმა საქმიანობამ უნდა გამოიმუშაოს ძალისმაღლური მოვება.

#### 4 . 7 . გადაწყვეტილებები შემდგომ დამუშავებაზე

ისეთ საწარმოებში, სადაც დამუშავების პროცესში, ერთ პროდუქტზე მეტია და შესაძლებელია პროდუქტის ნახევარფაბრიგატად მიყიდვა, ხშირად არჩევანი გასაკეთებელია პროდუქტის დაუსრულებელ მდგომარეობაში (სხვა მწარმოებლებზე) გაყიდვაზე ან მის შემდგომ დამუშავებაზე და დასრულებული სახით მომხმარებლისათვის მიყიდვაზე.

რელევანტური დანახარჯები და შემოსავლები შემდგომ დამუშავებაზე გადაწყვეტილებისას რელევანტურია დანახარჯები, რომლებიც წარმოიშობა პროდუქტის შემდგომ დამუშავებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. ამ შემთხვევაში უკვე არსებული საერთო დანახარჯები, მაგ. გამოცალკევების დანახარჯები მხედველობაში არა მისაღები.

რელევანტური შემოსავლები წარმოადგენს შემდგომ დამუშავებული პროდუქტის გაყიდვისას დამატებით გამომუშავებულ შემოსავლებს, დაუსრულებელ მდგომარეობაში გაყიდვასთან შედარებით.

#### მგალითი:

კომპანია „C“ ერთობლივი დამუშავებით აწარმოებს სამ პროდუქტს, რაც თვეში  $104,000\text{ლ}$  ჯდება. დასამუშავებელი მასალიდან ტიპური თვიური გამოსავლიანობა შემდეგია:

პროდუქტი	გამოსავალი (ლიტრებში)
P	10,000
S	5,000
T	8,000

თითოეული პროდუქტი შესაძლოა შემდგომ დამუშავდეს. ლიტრზე სარეალიზაციო ფასები და შემდგომი დამუშავების ხარჯები შემდეგია:

### პროდუქტი

დანახარჯები/შემოსავლები/ლიტრი	P	S	T
	ლარი	ლარი	ლარი
შემდგომი დამუშავება	5.00	3.00	9.00
სარეალიზაციო ფასი:			
შემდგომ დამუშავებამდე	11.00	14.00	13.00
შემდგომი დამუშავების შემდეგ	15.00	19.00	20.00

ურჩიეთ კომპანია „C“-ს რომელიმე პროდუქტის შემდგომი დამუშავების შესახებ.

### ამონენა:

საერთო დანახარჯები მხედველობაში არაა მისაღები, მხედველობაში მისაღებია მხოლოდ მზარდი დანახარჯები და შემოსავლები:

### პროდუქტი

	P	S	T
	ლარი	ლარი	ლარი
<b>სარეალიზაციო ფასი:</b>			
შემდგომ დამუშავებამდე	11.00	14.00	13.00
შემდგომი დამუშავების შემდეგ	15.00	19.00	20.00
მზარდი შემოსავლები	4.00	5.00	7.00
შემდგომი დამუშავების დანახარჯები	(5.00)	(3.00)	(9.00)
მზარდი კონტრიბუცია	(1.00)	2.00	(2.00)

ეს ცხრილი, რომელიც ეფუძნება თითოეული ლიტრის ღირებულებას, აჩვენებს, რომ მხოლოდ S პროექტის შემდგომ დამუშავებას მივყავართ კონტრიბუციის ზრდისაკენ.

აქედან გამომდინარე, კომპანია „C“-მ მხოლოდ შპ პროდუქტის შემდგომი დამუშავება უნდა დაიწყოს და P და T პროდუქტები უნდა გაყიდოს შემდგომი დამუშავების გარეშე.

#### 4 . 8 . არჩევანი შიდა მომსახურების განყოფილებებსა და გარე მომსახურებას შორის

ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას არჩევანის გაკეთება ზოგჯერ უწევს ბიზნესის ადმინისტრაციას მაგ. გაყიდვისას არჩევანი შეიძლება გაკეთდეს გაყიდვის აგენტის გარე მომსახურეობის შეძენასა და კომპანიის თანამშრომელის (გაყიდვის აგენტის) აყვანას შორის.

#### რელევანტური დანახარჯები

ამ დროს მიღებული გადაწყვეტილება მსგავსია ადრე აღწერილი წარმოებისა თუ შესყიდვაზე მიღებული გადაწყვეტილებისა. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თუ გამოყენებული იქნება შიდა მომსახურების განყოფილება, მაშინ წარმოშობილი დანახარჯები უმეტესად ფიქსირებული იქნება, როცა გარე მომსახურების გამოყენებისას დანახარჯების უმეტესობა ცვლადია.

#### მაგალითი:

კომპანია „D“ განიხილავს, თვითონ აწარმოოს შესყიდვების ბუღალტრული უურნალი, თუ კომიუნიკაციის გარე საბუღალტრო მომსახურება. წარმოდგენილია ორივე შემთხვევისათვის დანახარჯების შემდევი შეფასება:

#### შიდა მომსახურების განყოფილება:

კომპიუტერის შესყიდვის დანახარჯები	1000ლ
კომპიუტერული პროგრამის შეძენა	600ლ
ტექნიკური მომსახურება	700ლ წელიწადში
სააღრიცხო-საკანცელარიო საქონელი	500ლ წელიწადში
ნახევარი დატვირთვით მომუშავე ბუღალტერი	6000ლ წელიწადში

#### გარე მომსახურება:

პირველადი დოკუმენტების დამუშავება	0.50ლ თითოეულ დოკუმენტზე
ბუღალტრული რეგისტრების წარმოება	0.50ლ თითოეულ რეგისტრზე
მყიდველების და მომწოდებლების ანგარიშების შეჯერება თითოეულ ზე	2.00ლ თითოეულ მომწოდებლზე
შეკვეთის მომწოდებელის მომუშავება	და მყიდველზე
ფინანსური ანგარიშების მომზადება	500ლ - წლიურად

კომპანია „D“-ზე გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეაფასოს მოსალოდნელი ოპერაციების რაოდენობა და მონაცემთა რელევანტურობის გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა აუცილებელი იქნება ისეთი ხარისხობრივი ფაქტორების გათვალისწინება როგორიცაა:

- მომსახურების საიმედოობა,
- მომსახურების ხარისხი,
- ინფორმაციის დაცულობა.